

## კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

### COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

**1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩევლებს?**

„ევროპულ საქართველოს“ გამოსავლად მიაჩნია, ერთი მხრივ, გადასახადების დაწევა და, მეორე მხრივ, ბიუჯეტის სწორად გადასახადება, რომ ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადებით ისევე ხალხმა ისარგებლოს და არა ბიუროკრატიაში. ჩვენი მიდგომა ასეთია: ნაკლები ფული ბიუროკრატიაში, მეტი თანხა - ხალხს და ბიზნესს.

„ევროპული საქართველოს“ კონკრეტული ინიციატივებია:

- ბენზინზე, დიზელსა და გაზზე აქციზის შემცირება 25%-ით, რაც შეაფერხებს ფასების ზრდას;
- დღგ-ით დაუბეგრავი ბრუნვის ზღვრის 100 000 ლარიდან 200 000 ლარამდე გაზრდა;
- დამატებითი ღირებულების გადასახადის 18-იდან 16%-მდე შემცირება;
- განაწილებული მოგების 15%-იანი გადასახადის შემცირება 10%-მდე;
- საშემოსავლო გადასახადის შემცირება 20-იდან 10%-მდე;
- ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია;
- მთავრობის საკუთრებაში არსებული მიწებისა და ქონების ხალხისთვის დაბრუნება;
- აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, საერთაშორისო ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა;
- რაიონების ბიუჯეტში მეტი ფულის დატოვება;
- სამთავრობო ხარჯების 2 მილიარდით შემცირება;
- მთავრობის ზომის შემცირება მშპ-ის 20%-მდე არაუგვიანეს 2024 წლამდე;
- სესხებთან, მშენებლობასთან და სხვ. დაკავშირებული რეგულაციების შემცირება;
- ეროვნული ვალუტის გაუფასურების პრევენციის მექანიზმების შემუშავება.

აღნიშნული გეგმის მიხედვით, შევქმნით 100 000 სამუშაო ადგილს და თითოეულ ოჯახს დარჩება 2000 ლარზე მეტი.

ეს ზომები პირველივე წელს ჯამში 1.2 მილიარდ ლარზე მეტს ჩატოვებს ეკონომიკაში და დაეხმარება როგორც საერთო-ეკონომიკურ, ისე ასიათასობით ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

## **2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?**

„მცირე მთავრობის“ მოდელის რეალურად დანერგვით, დაბალი გადასახადებით, მოქალაქეებისა და ბიზნესის საქმიანობაში ნაკლები ჩარევით, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნით, ფისკალური დისციპლინითა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებით, მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის განხორციელებით შესაძლებელია:

- ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება;
- სამუშაო ადგილების შექმნა;
- სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდება მეტი კეთილდღეობის, განვითარებისა და სოციალური დაცულობის უზრუნველყოფა საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

მაღალი ეკონომიკური ზრდა გააუმჯობესებს არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქის ცხოვრებას, არამედ მოტივაციას შეუქმნის უცხოეთში წასულ თანამოქალაქეებს, სამშობლოს დაუბრუნდნენ და თავიანთი ცოდნა თუ ენერჯია აქ გამოიყენონ.

## **3. გეგმავთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.**

ქვეყნის მასშტაბით დღეს არსებული დაბალი ეკონომიკური ზრდა რეგიონებისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავს. რეგიონების უმეტესობაში, ბოლო წლების განმავლობაში, რეგიონული ზრდა საერთოდ არ გვქონია. რეგიონების გამოცოცხლება მეტი თვითმმართველობითა და მეტი ადგილობრივი ინიციატივითაა შესაძლებელი. იქ მცხოვრებ მოქალაქეებს არ უნდა ზღუდავდეს ცენტრალური ხელისუფლების ბიუროკრატიული სირთულეები, უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლად უფრო მეტი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

განვლილ წლებში შენელდა სოფლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ტემპი, გაუქმდა სოფლის დახმარების პროგრამა, არ იქნა შემოყვანილი საკმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ყოველივე ამით კიდევ უფრო დამძიმდა სოფლის მოსახლეობის პირობები.

„ევროპული საქართველოს“ ამოცანაა, გვქონდეს ევროპული სოფელი და არა ღარიბი სოფელი. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ:

- ხალხს და სოფლებს კერძო საკუთრებაში გადავცემთ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, სამოვრებსა და ტყეებს;
- მუნიციპალიტეტებს ავტომატურად დარჩებათ ადგილზე მოკრებილი გადასახადის ნაწილი;
- დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს, რაც ფაქტობრივ მფლობელობაშია და არ არსებობს მასზე სხვა პირის პრეტენზია, დავარეგისტრირებთ მფლობელის საკუთრებად;
- დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ფაქტობრივად სასოფლო თემის ან სოფლის მოსახლეობის საერთო მფლობელობაშია და ამ ნაკვეთების მიმართ არ არსებობს სხვათა პრეტენზია, დავარეგისტრირებთ სოფლის/თემის საკუთრებად;
- სახელმწიფო ქონებასა და წიაღისეულს, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისი შემთხვევებისა, საქართველოს მოქალაქეებზე თანაბრად გავანაწილებთ;
- უზრუნველვყოფთ ყველა სოფელს სასმელი და სარწყავი წყლით და კანალიზაციის სისტემებით;
- დავასრულებთ სოფლის გაზიფიკაციას;
- გავაფართოებთ სოფლის გზების მშენებლობას;
- გავზრდით სოფლების წვდომას ინტერნეტთან;
- შევის მოპოვებაზე გავაუქმებთ შეზღუდვებს.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, მივაღწიოთ ევროკავშირის ფონდებისა და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან თანხების მოზიდვა-ინვესტირებას ქართულ სოფელში, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი და საკონსერვო წარმოების აღსადგენად და სოფლად სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ვიმუშავებთ უცხოეთში ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციისა და მასზე მოთხოვნის გაზრდის, ახალი საერთაშორისო ბაზრების გახსნისა და უკეთ ათვისების მიზნით.

**4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?**

საქართველოს ეკონომიკის სწრაფ ზრდას სჭირდება უცხოური ინვესტიციების მეშვეობით დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იმისთვის, რომ ქვეყანაში შემოვიდეს მეტი ფული და გაიზარდოს ქვეყნის ტურისტული თუ ტრანზიტული პოტენციალი, ხოლო საქართველო იქცეს რეგიონალურ ჰაბად. ამ მიზნის მისაღწევად „ევროპული საქართველო“ გეგმავს:

- რუსთავი-მარნეულის დაბალბიუჯეტური აეროპორტის გახსნას;
- ქუთაისის აეროპორტის გაფართოებას;
- ქუთაისის აეროპორტში სატვირთო ტერმინალის დამატებას;
- თბილისი-ბათუმის ჩქაროსნული რკინიგზის გახსნას;

- თბილისის შემოვლითი რკინიგზის ამუშავებას;
- ლენტეხი-მესტიის, გომბორის, გოდერძის და მლეთა-ყაზბეგის გვირაბების აშენებას;
- ანაკლიის ყურეში საზღვაო პორტის მშენებლობის დასრულებას.

**5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშელავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?**

ახალი კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული კრიზისის ეფექტიანი მართვა მოითხოვს ინფექციის გავრცელების ისეთ დონეზე კონტროლს, რომ დატვირთვას გაუძლოს ჯანდაცვის სისტემამ და, იმავდროულად, რაც შეიძლება მინიმალურად შემცირდეს ეკონომიკური აქტივობა. „ქართული ოცნების“ დამაზიანებელი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, ქვეყნის ეკონომიკა ისედაც დასუსტებული შეხვდა ამ გამოწვევას და მკაცრი შეზღუდვების პოლიტიკას ვერ გასწვდება საქართველოს მწირი ფინანსური რესურსი.

მკაცრმა შეზღუდვებმა გაუმართლებლად მეტი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და ათიათასობით ოჯახს შიმშილის საფრთხე შეუქმნა, განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში. ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ გადასახადების შემცირებას ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისთვის.

**6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ამოცანებიდან გამომდინარე, დაწესებული შეზღუდვები მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთნდობასა და თანამშრომლობას დაემყარება. მთავრობა დასჯის პრინციპით კი არ იმოქმედებს, არამედ საზოგადოებას ისეთ გონივრულ რეკომენდაციებს შესთავაზებს, რასაც მოქალაქეები მიიღებენ და სათანადოდ დაიცავენ. ზუსტად ამას ნიშნავს „ვირუსთან თანაცხოვრება“ და სწორედ ეს მიდგომა აგვაცილებს თავიდან ეკონომიკის ისეთ დასუსტებას და საზოგადოების ისეთ ფსიქოლოგიურ თუ ფინანსურ გამოფიტვას, რომ ვირუსთან ბრძოლის მართონს რაც შეიძლება დიდხანს გავუძლოთ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ დისკრიმინაციული პოლიტიკის აღმოფხვრა, რასაც „ქართული ოცნება“ ვირუსთან ბრძოლის საბაბით ატარებს.

**7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?**

ქვეყნის სრული ინტერნეტიზაცია გადაუდებელი ამოცანაა შექმნილი კრიზისის გარეშე. თუმცა უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა რომც არ არსებობდეს, პედაგოგიური მიზნებიდან გამომდინარე, სკოლაში მოსწავლეთა სიარულის ნაწილობრივ მაინც აღდგენა აუცილებელია. ამიტომ, უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სასწავლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მკვეთრი გაუმჯობესება.

**8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

„ევროპული საქართველოს“ გეგმა:

1. მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან შეუმცირდათ ხელფასი, სახელმწიფო დაეხმაროს მომავალი 8 თვის მანძილზე ხელფასის ან დანაკლისის 50%-ით;
2. 840 000 თვითდასაქმებულ მოქალაქეს 400-ლარიანი დახმარება და 120-ლარიანი კომუნალური ვაუჩერები გადაეცეთ;
3. მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება, დაიბრუნონ მათ მიერ საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა. შედეგად, ყველა დასაქმებული საშუალოდ 500 ლარს დაიბრუნებს, ხოლო მეწარმე თითოეულ დასაქმებულზე - 225 ლარს;
4. პენსიონერებისთვის კომუნალურ გადასახადებზე 120-ლარიანი ვაუჩერი და 400-ლარიანი ფულადი დახმარება;
5. საშემოსავლო გადასახადის განულება 4 თვით, ხოლო შემდეგ მისი 10%-ზე გაჩერება (1.7 მლრდ ლარი), ასევე საწვავზე აქციზის გადასახადის 25%-ით შემცირება (150 მლნ), ქონების გადასახადის განულება (390 მლნ), ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადის ცვლილება და მხოლოდ გაყიდული საქონლის დაბეგვრა.

პოლიტიკა და ეკონომიკა

**1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?**

საკონსტიტუციო ცვლილებით უფლებამოსილებას შევუწყვეტთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას. გავაერთიანებთ უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს. საკონსტიტუციო ცვლილების გზით გავაუქმებთ 2017 წლიდან მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ყველა აქტს.

**2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?**

- ჩვენი ინიციატივით ზედა ინსტანციის სასამართლოებში მოწვეულ იქნებიან კვალიფიციური და მაღალი რეპუტაციის მქონე უცხოელი მოსამართლეები, რომლებიც დაინიშნებიან განსაზღვრული ვადით და მათ ეტაპობრივად ჩაანაცვლებენ ადგილობრივი მოსამართლეები;
- სახელმწიფოსთან მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული დავების გადასაწყვეტად შევექმნით დავების განხილვის საბჭოს ანალოგიურ მექანიზმს - ადმინისტრაციულ არბიტრაჟს, რომელიც უცხოელი არბიტრებით დაკომპლექტდება;
- ავამოქმედებთ ნაფიც მსაჯულთა სისტემას ყველა საპატიმრო საქმის განხილვისას. ასევე შევექმნით მსაჯულის უსაფრთხოების მყარ გარანტიებს. მსაჯულზე ზემოქმედების მცდელობა ან მასზე მუქარა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით;

- იმისთვის, რომ სასამართლო გათავისუფლდეს კლანის გავლენისგან, უნდა აღიკვეთოს მოსამართლეზე მუქარის, წნეხისა და ძალადობის საფრთხე, სასამართლო არ უნდა იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან რეაგირებაზე. ჩვენ ამერიკული მოდელის მიხედვით შევქმნით სასამართლო მარშალის ინსტიტუტს ამგვარ ქმედებებზე სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილებით;
- შევამცირებთ სამოქალაქო დავის განხილვის ვადებს, რათა მოქალაქეებმა დროულად და გაუჭიანურებლად ისარგებლონ მართლმსაჯულებით. ასევე დავნერგავთ გამსვლელი მაგისტრატის ინსტიტუტს, რომელიც ოპერატიულად გადაწყვეტს სამეზობლო და მსგავსი კატეგორიის დავას;
- თუ მოქალაქე სახელმწიფოს მოუგებს დავის პროცესს, სრული დანახარჯები (მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი, აგრეთვე ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება) დაეკისრება სახელმწიფოს, რათა მოქალაქე არ დაზარალდეს სახელმწიფოსთან დავის პროცესში;
- სრულად ავამოქმედებთ მოწმეთა მხოლოდ მოსამართლის თანდასწრებით დაკითხვის წესს;
- ჩვენ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს ან მოქალაქეს შორის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) დავებზე აშშ-ის უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებებს სამართლებრივ პრეცედენტებად ვაღიარებთ;
- საკონსტიტუციო ცვლილებით უფლებამოსილებას შევუწყვეტთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას. გავაერთიანებთ უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს. საკონსტიტუციო ცვლილების გზით გავაუქმებთ 2017 წლიდან მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ყველა აქტს;
- 2021 წლის ბოლომდე შემოვიღებთ მოსამართლის არჩევითობის პრინციპს პირველ ინსტანციაში, რომელიც განიხილავს საქმეთა უმრავლესობას.

### **3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?**

უკანონო ფარული მიყურადების შემთხვევებისა და პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის გამორიცხვის მიზნით, 2021 წლის იანვრამდე შევქმნით სამართალდამცავი ორგანოებისგან დამოუკიდებელ და საგამომიებო ფუნქციის არმქონე ტექნიკურ სამსახურს. შესაბამისად, კანონმდებლობით ნებადართულ შემთხვევებში ფარული მიყურადება მხოლოდ ამ სამსახურის პრეროგატივა იქნება.

### **4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?**

„ევროპული საქართველო“ მხარს უჭერს რეგიონულ-პროპორციულ საარჩევნო სისტემას. ამგვარი მოდელის მიხედვით, უფრო დიდ და მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებს შეეძლებათ აირჩიონ რამდენიმე დეპუტატი. იმავდროულად, შემცირდება საარჩევნო ოლქების რაოდენობა. გეოგრაფიულად და ისტორიულად ახლოს მდებარე შედარებით მცირე ოლქები გაერთიანდებიან.

თითოეული საარჩევნო ოლქიდან წარდგენილ დეპუტატთა ადგილების რაოდენობა პარლამენტში უნდა იყოს ამ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციული. პარტიის მიერ პარლამენტში მოპოვებული ადგილების რაოდენობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენ პროცენტს მოიპოვებს იგი რეგიონულ-პროპორციული საარჩევნო სისტემით შესაბამის საარჩევნო ოლქებში.

**5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?**

2012 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ წელს, საატესტატო გამოცდების შედეგები უარესდება – იზრდება მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მიღმა დარჩენილ აპლიკანტთა რაოდენობა.

2020 წლის მონაცემებით, უმაღლესი სასწავლებლების 59 076 სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული; მათგან ფინანსური დავალიანების გამო - 19 874 სტუდენტს, რაც საერთო რაოდენობის 33.6%-ია. რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებს, 2017 წელს ჩარიცხული სტუდენტების თითქმის ერთ მესამედს (29%) 2020 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა.

2014 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად მცირდება განათლების ბიუჯეტში სტუდენტთა სასტიპენდიოდ გამოყოფილი თანხის რაოდენობა.

ჩვენს ქვეყანას და მის თითოეულ მოქალაქეს გაუჭირდება მსოფლიოში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცა განათლებას. უკეთესი განათლება გვჭირდება იმისთვის, რომ გვექონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევის ასევე მაღალი ტემპი. საგანმანათლებლო სფეროს გაჯანსაღებისთვის „ევროპული საქართველო“ კერძო განათლების სფეროს გაათავისუფლებს სახელმწიფო რეგულაციებისგან, ხოლო საჯარო სკოლებს მიანიჭებს ფინანსურ და მმართველობით ავტონომიას. გაიზრდება მშობელთა როლი სკოლების მართვისას და აღიკვეთება მასწავლებლებზე პოლიტიკური ზემოქმედების ნებისმიერი მცდელობა.

ამასთან ერთად, „ევროპული საქართველოს“ საპარლამენტო გუნდი კონკრეტულ წინადადებებს წარუდგენს მთავრობას უკვე მომავალი წლიდან, თუ როგორ გაიზარდოს:

- ვაუჩერის პრინციპზე გადაყვანით სკოლამდელი განათლების (საბავშვო ბაღების) ხელმისაწვდომობა და არჩევანი;
- სასკოლო ვაუჩერის ღირებულება, რომ სასკოლო სამეურვეო საბჭოებს, სკოლების სრულყოფილი თვითმმართველობისა და ფინანსური ავტონომიის პირობებში, საშუალება მიეცეთ მასწავლებელთა ხელფასი მინიმუმ 700 ლარამდე, ხოლო სერტიფიცირებულ ყველა მასწავლებელს მინიმუმ 1000 ლარამდე გაეზარდოს;
- 8000 სტუდენტით სახელმწიფო საგრანტო პროგრამებით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა.

**6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.**

„ევროპული საქართველოს“ რეფორმების შედეგად, 2024 წლისთვის შემცირდება მთელ რიგი გადასახადები, მათ შორის საშემოსავლო 20-იდან 10%-მდე, მოგების გადასახადი 15-იდან 10%-მდე, დღგ 15%-მდე, აქციზი 25%-ით. დაიწყება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია. სამთავრობო ხარჯები შემცირდება 2 მილიარდით. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გაჩნდება 100 000 ახალი სამუშაო ადგილი და თითოეულ ოჯახს წლიურად დარჩება 2000 ლარით მეტი.

**7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.**

„ევროპული საქართველო“ მხარს უჭერს „მცირე მთავრობის“ მოდელის რეალურად დანერგვას. ჩვენი მიზანია მთავრობის შემცირება მშპ-ის 20%-მდე არაუგვიანეს 2024 წლამდე.

**8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?**

უარყოფითი, თუმცა უპრეცედენტო მასშტაბის გლობალური კრიზისის გამკლავება მთავრობებს აიძულებს, გაზარდონ სახელმწიფო ვალი. იმავდროულად, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ბიუროკრატიული ხარჯის შემცირებას, რათა პანდემიის პირობებში აღებული ვალი ხალხის საჭიროებებს მოხმარდეს.

**9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?**

საჯარო სამსახურში არსებული კორუფცია, ნეპოტიზმი და ფავორიტიზმი ყოველთვის იყო მისი არაეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი მიზეზი. „ევროპული საქართველო“ მიზნად ისახავს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებას, გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და პროფესიონალების მოზიდვას, რისთვისაც იგი გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯებს:

- საჯარო მოხელეთა ანაზღაურების ეფექტიანი სისტემის შესამუშავებლად, რაც ხელს შეუწყობს და გააძლიერებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საჯარო სამსახურში. აღნიშნული რეფორმა უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სტიმულირებას, კვალიფიციური კადრების მოზიდვას და ასევე სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობას;
- საჯარო სამსახურში ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, რისთვისაც საჭიროა კანონმდებლობაში ნეპოტიზმის საკითხის ნათლად ასახვა;
- დეკლარაციის წარმდგენ პირთა სიის გასაფართოებლად, რაც ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის ზრდას. ასევე საჭიროა დეკლარაციაში თანამდებობის პირის ოჯახის წევრთა ჩამონათვალის გაფართოება. აღნიშნული რეფორმა უზრუნველყოფს ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის აღმოფხვრას საჯარო სამსახურში;



- დეპოლიტიზებული საჯარო სამსახურის შესაქმნელად, სადაც ადამიანები დასაქმდებიან კვალიფიკაციის და არა ნათესაური კავშირების მიხედვით.

### საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

#### **1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?**

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ „საქართველოს საჯარო ფინანსების მიმოხილვაში“, რომელიც ჯანდაცვის სექტორზე აქცენტით არის გაანალიზებული, პირდაპირაა ნათქვამი: „ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდის მიუხედავად, ჯიბიდან გადახდები ჯანდაცვის დაფინანსების კვლავ დომინანტურ წყაროდ რჩება (მთლიანი ხარჯის 66%)“.

ეს მდგომარეობა, მსოფლიო ბანკის შეფასებით, გადარიბებისგან დაუცველს ხდის საქართველოს მოქალაქეების დიდ ნაწილს. გასათვალისწინებელია, რომ მათ ჯიბეს მხოლოდ მედიკამენტის ხარჯი არ აწვებათ. ზოგადად, ჯანდაცვის დანახარჯების უდიდესი ნაწილი, შედარებით ნაკლებხარჯიანი ამბულატორიული მკურნალობის ნაცვლად, ძვირად ღირებულ ჰოსპიტალურ მომსახურებას ხმარდება, რაც პრობლემაა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ისე პაციენტებისა და მათი ოჯახებისთვის.

სიღარიბის დასაძლევად მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აუცილებელი (თუმცა არასაკმარისი) პირობაა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში უნდა გაჩნდეს 400-მდე დასახელების მედიკამენტის თანადაფინანსების კომპონენტი (სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის განსხვავებული პროპორციით). ოღონდ ჯერ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხარჯთეფექტიანობა უნდა გაიზარდოს, რისთვისაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირება სადაზღვევო კომპანიებს უნდა გადაეცეთ. ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო (და არასახელმწიფო) ფინანსების ეფექტიანად ხარჯვა ასევე ხარისხის ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა.

#### **2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?**

გადასახადების შემცირების პირობებშიც კი ბიუჯეტში რჩება საკმარისი რესურსი ხალხზე ორიენტირებული, მიზნობრივი სოციალური პროგრამებისთვის, რათა 2021 წლიდან შესაძლებელი იყოს:

- პენსიის გაორმაგება;
- სოციალურად დაუცველთა დახმარების გაორმაგება;
- დევენილთა დახმარების გაორმაგება;
- შშმ პირთა შემწეობის გაორმაგება;
- მთავრობის საკუთრებაში არსებული ქონების მოქალაქეებისთვის გადაცემა.

იმავდროულად, „ევროპული საქართველოს“ მიერ შემუშავებული ალტერნატიული დაგროვებითი საპენსიო სისტემა უზრუნველყოფს ღირსეულ პენსიას მომავალი პენსიონერებისთვის. საპენსიო სქემაში ჩართვის ნებაყოფლობით პრინციპზე აგებული ამ სისტემის მიხედვით, 40 წლის მასწავლებელი ქალი, რომლის დარიცხული ხელფასი 500 ლარია, საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე, საბაზო პენსიაზე დამატებით, დაგროვებითი სქემით ყოველთვიურად 1 026 ლარს მიიღებს.

ჩვენი ალტერნატიული დაგროვებითი საპენსიო სქემა ყველა ასაკის ადამიანისთვის ერთნაირად და თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება. მონაწილე თავად აირჩევს:

- რამდენს შეიტანს ხელზე ასაღები დაბეგრილი ხელფასიდან;
- რამდენი დამატება თავისივე საშემოსავლო გადასახადიდან.

ეს დაგროვებითი საპენსიო სისტემა აგებულია საგადასახადო შეღავათის პრინციპზე და მისი ადმინისტრირება შესაძლებელია ზედმეტი ბიუროკრატიისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე.

### 3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, მათ საკუთარ სახლებში ღირსეულ და უსაფრთხო დაბრუნებამდე, სოციალური დაცვის ადეკვატური სქემის უზრუნველყოფის მიზნით „ევროპული საქართველო“ გადადგამს შემდეგ ნაბიჯებს:

- **დევნილის პოლიტიკური და სოციალური სტატუსის გამიჯვნა.** დევნილთა და მათი შთამომავლების უფლება, დაუბრუნდნენ საკუთარ სახლ-კარს ხელშეუხებელია და აღიარებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით, აგრეთვე ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპებით. ამავდროულად, დევნილთა სოციალური დაცვა უნდა მოექცეს საერთო-ეროვნულ პროგრამებში და აღმოიფხვრას ამ მხრივ დღეს არსებული დისკრიმინაცია;
- **დევნილთა დახმარებისა და მათი ღირსეული საცხოვრებელი დაკმაყოფილების პროგრამების გაგრძელება.** ეს ამოცანა განხორციელდება იმ დათქმით, რომ დევნილების, როგორც საქართველოს მოქალაქეების უფლება – დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისევე როგორც მათი საკუთრების უფლებები, ხელშეუხებელია. შემუშავდება საცხოვრებელი დაკმაყოფილების მრავალფეროვანი პროგრამები (ახალი მშენებლობები, არსებული შენობების გარემონტება, სოფლად სახლების ყიდვა, ბინების შესყიდვა სახელმწიფოს თანამონაწილეობით და ა.შ.), დაცული იქნება პარიტეტი კომპაქტური დასახლებების დევნილებსა და ე.წ. კერძო სექტორში განსახლებულ დევნილ ოჯახებს შორის. აღნიშნული ღონისძიებები თავიდან აგვაცილებს დევნილთა მიერ წლობით საცხოვრებლის მიმღებთა რიგში დგომას;

- **დევნილების დასაქმების ხელშეწყობა.** საერთაშორისო დონორების აქტიური მონაწილეობით, დევნილთა როგორც დიდ, ისე მცირე კომპაქტურ ჩასახლებებში განვახორციელებთ მიკროპროექტებს დევნილთა დასაქმებისა და შემოსავლებით უზრუნველყოფის მიზნით; ასევე უზრუნველყოფთ დევნილთა ჩართულობას პროფესიული გადამზადების პროგრამებში.

**4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?**

დავიცავთ ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებებს. შევქმნით პირობებს იმისთვის, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა იყოს დაცული. დაუსჯელს არ დავტოვებთ დისკრიმინაციის, ჩაგვრის, ძალადობისა და ძალადობისკენ მოწოდების შემთხვევებს, რაც ამ უმცირესობებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ხელის შემშლელია. სახელმწიფო უწყებებში უზრუნველყოფთ ისეთ სიტუაციას, როცა უმცირესობები არ დაიჩაგრებიან და მათთვის სხვა მოქალაქეებივით ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო სერვისები.

**5. პარლამენტაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.**

ჩვენი მთავარი ამოცანაა უზრუნველყოფთ საზოგადოების ყველა წევრის თანაბარი უფლებები და შევუქმნათ მათ პირობები თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის. პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის წახალისებისა და მათი სამოქალაქო უფლებების სრულყოფილად გამოყენების მიზნით, „ევროპული საქართველო“ ზრუნავს თავისი სტრუქტურული ერთეულის - ქალთა ორგანიზაციის განვითარებაზე. ჩვენი პარტიის ქალთა ორგანიზაცია 2017 წელს შეიქმნა, მოხერხდა ათასობით აქტივისტი ქალის მობილიზაცია, ისევე როგორც მრავალი ქალი ლიდერის იდენტიფიკაცია და ჩართვა ადგილობრივ თუ ეროვნულ პოლიტიკაში. ამგვარად, ჩვენ ვახალისებთ ქალთა ჩართულობას არა მხოლოდ პარტიული საქმიანობისას ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ მაქსიმალურად ხელს ვუწყობთ მეტი ქალის ჩართვას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება და შესაძლებლობა, აღიზარდონ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ნორმალურ პირობებში. საქართველოში ამ მხრივ მთავარი გამოწვევა სიღარიბეა.

დღეს 53.4 ათასი ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში. ზოგად სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა კი 216.8 ათასია, რაც კატასტროფული მაჩვენებელია.

იმის მიუხედავად, რომ ფულადი სოციალური დახმარება ბავშვზე 2019 წელს გაიზარდა, აღნიშნული რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა სოციალური მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას. ჩვენი აზრით, ეტაპობრივად მზარდ სოციალურ დახმარებებთან ერთად, აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. ეს ქვეყნის სიღარიბიდან გამოსვლასთან ერთად, გრძელვადიან პერსპექტივაში ბავშვთა სიღარიბესაც შეამცირებს. სიღარიბის დაძლევის ერთადერთი ეფექტიანი გზა სწრაფი ეკონომიკური ზრდაა, რისთვისაც „ევროპული საქართველო“ გაატარებს მთელ რიგ ეკონომიკურ რეფორმებს.

ამასთან ერთად, აუცილებელია ადეკვატურად შეფასდეს არსებული სოციალური შედეგების სისტემის ეფექტიანობა. ასევე მნიშვნელოვანია გადაისინჯოს მეთოდოლოგია, რომლითაც ოჯახებს სარეიტინგო ქულები ენიჭებათ. ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭებისას გასათვალისწინებელია ბავშვთა საჭიროებები.

ბავშვთა უფლებების დაცვისთვის ჩვენთვის პრიორიტეტულია შემდეგ მიმართულებებზე მუშაობა:

- ყველა ბავშვისთვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა;
- ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლე ყველა ბავშვისთვის;
- ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს.

## 7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

ჩვენი ხედვის შესაბამისად, კულტურის პოლიტიკის მიმართულებით სახელმწიფოს შემდეგი პრიორიტეტები უნდა ჰქონდეს:

- კულტურის საშუალებით საქართველოს საერთაშორისო პოპულარიზაციის გაზრდა;
- კულტურულ რესურსებზე საქართველოში თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- კულტურული მემკვიდრეობის აღწერა, სისტემატიზაცია და დაცვა;
- თანამედროვე კულტურული და სახელოვნებო ინიციატივების მხარდაჭერა.

ამ მიზნით სახელმწიფოს მთავარი ვალდებულებაა:

- სახელოვნებო და კულტურული საქმიანობის თავისუფლების მხარდაჭერა და წახალისება;
- რეგიონული პროექტების იმდაგვარად კონსტრუირება, რომ საქართველოს ყველა მხარეში შესაძლებელი იყოს კულტურული ცხოვრების განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში აუცილებელია ძირითადი თანხებისა და რესურსების კონცენტრაცია;
- საქართველოს საგარეო-საიმიჯო ღონისძიებათა დაგეგმვისას კულტურის კომპონენტი საერთო კონცეფციის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს;

- კულტურა უნდა განვიხილოთ საზოგადოების ინტეგრაციისა და საგარეო გავლენის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად.

**8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.**

ეკოლოგიურ გამოწვევებზე პასუხის გაცემა ცხოვრების ხარისხსა და მომავალ თაობათა ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემადგენელი ნაწილია, რაც თავის მხრივ მოიცავს:

- საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებას;
- ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას;
- საერთაშორისო, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას;
- საქართველოს დაცული ტერიტორიების გაფართოებას;
- დიდ ქალაქებში სრულფასოვანი საკანალიზაციო სისტემის შექმნაზე მუშაობის გაგრძელებას, ამ პროცესში საერთაშორისო დონორების და უცხოური პარტნიორების დახმარების მოზიდვას;
- საქართველოს ბუნების შესახებ თანამედროვე ინფორმაციული ბაზის შექმნას.

**9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?**

საქართველოს დიდ ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, აგრეთვე საცობებისგან განტვირთვის მიზნით აუცილებელია მინიმუმ შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

- უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა;
- თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა ესტაკადით;
- ვერეს ხეობიდან გამომავალი ახალი მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება გმირთა მოედანზე არსებულ „ლაგუნასკენ“ მიმავალ გვირაბთან;
- მარშალ გელოვანის მოედანზე („ვეფხვი და მოყმის“ ძეგლთან) საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (გვირაბით);
- გალაკტიონის ხიდის მარცხენა მხარეს (უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ასასვლელი) პანდუსის მოწყობა;
- შეშელიძისა და გობრონიძის ქუჩების კვეთაზე მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (მუხიანიდან მოძრავი მანქანებისთვის);
- მდინარე მტკვარზე მარნეულის და რუსთავის გზატკეცილის ქვემო სამგორთან დამაკავშირებელი ხიდის აშენება;

- ლენტეხი-მესტიის, გომბორის, გოდერძის და მლეოთა-ყაზბეგის გვირაბების აშენება.

**10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?**

სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და გაძლიერება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჩვენი მიზანია მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის გაძლიერება და ადამიანის უფლებების განმტკიცება, რისთვისაც მხარს დავუჭერთ:

- ინფორმაციის თავისუფალ გაცვლასა და საზოგადოების თანასწორ მონაწილეობას პოზიციათა შემუშავებისას;
- სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერას, რაც ითვალისწინებს საჯარო და თემის ინტერესების დაცვას;
- ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, მუდმივ კოორდინაციაში ვიქნებით სამოქალაქო სექტორთან და ვითანამშრომლებთ მთელ რიგ საკითხებზე;
- სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას საჯარო გადაწყვეტილებების მიღებისას.

**საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები**

**1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?**

ჩვენი საგარეო პრიორიტეტებია:

- განუხრელი მსვლელობა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით;
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება;
- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულება და ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრირება (ოთხი თავისუფლების მიღწევა);
- ევროკავშირსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან სამუშაო კვანძებზე შეთანხმების მიღწევა იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ ლეგალურად იმუშაონ ამ ქვეყნებში. ეს ნიშნავს მეტ ანაზღაურებას, მათი შრომის უფლებების დაცვას, სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფას;
- შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების განახლება. ამ მოლაპარაკებებს საფუძველი ჩაეყარა 2012 წელს, თუმცა რვა წელია „ქართულ ოცნებას“ ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადაუდგამს;
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების ეფექტიანად გამოყენება, რათა რუსული ბაზარი ღია იყოს ქართული პროდუქციისთვის;

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა საერთაშორისო ასპარეზზე, რუსეთის როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს სტატუსის განმტკიცება და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის წარმოება;
- აშშ-თან სავიზო რეჟიმის გამარტივება.

**2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?**

„ევროპული საქართველოს“ მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია განუხრელი მსვლელობა ნატოსა და ევროკავშირისკენ.

მთავრობას უნდა ჰქონდეს ზუსტი გეგმა, როდის შეიტანს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს და როგორ მოემზადება ამ პროცესისთვის. დღეს ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ ვაწარმოოთ მოლაპარაკებები ევროკავშირთან შრომის ბაზრის გახსნის თაობაზე. ჩვენ:

- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პარალელურად, უნდა გავაძლიეროთ ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებაში;
- ევროკავშირის ფონდებიდან უნდა მოვიზიდოთ თანხები, რათა ყველა მეწარმემ შეძლოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პაკეტით სარგებლობა;
- ევროკავშირის ფონდებიდან უნდა მოვიზიდოთ თანხები საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის;
- უნდა შევქმნათ საიმისო პირობები, რომ 2021 წლიდან დაიწყოს ევროპის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს გაწევრიანების პროცესი. ეს არის ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე მჭიდრო ფორმა, როგორც აქვს ისლანდიას, ნორვეგიასა და ლიხტენშტაინს.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში „ევროპული საქართველო“ გააღრმავებს პრაქტიკულ თანამშრომლობას ნატოსთან. ჩვენ გვსურს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერება და ნატოს შეიარაღებულ ძალებთან მათი ურთიერთქმედების გაუმჯობესება. ამ მიზნით მონაწილეობას უნდა ვიღებდეთ ნატოს ეგიდით და/ან ნატოს წევრ სახელმწიფოებთან ერთად საქართველოსთვის ხელმისაწვდომ ყველა წვრთნასა და მისიაში, ასევე გაეროსა და ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში.

ამასთან, საქართველოს სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში აშშ-ის სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების დადება ვაშინგტონთან.

**3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?**

დღეს ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ, მოლაპარაკებები ვაწარმოოთ ევროკავშირთან შრომის ბაზრის გახსნის თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ ასეულობით ათას ქართველ ემიგრანტს, რომლებიც დღეს ევროპაში არალეგალურად მუშაობენ, ექნებათ შესაძლებლობა, დასაქმდნენ ლეგალურად, მიიღონ მეტი ხელფასი, ჰქონდეთ სამედიცინო დაზღვევა და შრომის დაცული პირობები. ამავდროულად, ეს ნიშნავს დეპორტირების მუდმივი შიშისგან გათავისუფლებას და იმის შესაძლებლობას, რომ რეგულარულად ინახულონ საკუთარი ოჯახის წევრები.

ჩვენი პრიორიტეტებია:

- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულება და ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრირება (ოთხი თავისუფლების მიღწევა);
- ევროკავშირისა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან სამუშაო კვოტებზე შეთანხმების მიღწევა, რომ საქართველოს მოქალაქეებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ ლეგალურად იმუშაონ ამ ქვეყნებში, რაც მეტ ანაზღაურებას, მათი შრომის უფლებების დაცვას, სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფას ნიშნავს;
- ევროკავშირის ფონდებიდან მოვიზიდოთ თანხები, რათა ყველა მეწარმემ შეძლოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეწყობით გათვალისწინებული პაკეტით სარგებლობა;
- ევროკავშირის ფონდებიდან თანხების მოზიდვა საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის.

#### 4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოს, როგორც რეგიონულ ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბებასა და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას. საქართველო კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში, რის მისაღწევადაც ერთ-ერთი მთავარი პროექტი ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულებაა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა და კავკასიის ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევა. საქართველოს ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს რეგიონის ქვეყნებთან: აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან.

ჩვენი მიზანია, საქართველომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს შავი ზღვის აუზსა და კავკასიაში ისეთი რეგიონალური ინიციატივების მხარდასაჭერად, რომლებიც ხელს უწყობს მთელ რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

#### ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?



ჩვენი მიზანია გატარდეს უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობის ზრდისკენ მიმართული რეფორმები, რომლებიც მოახდენს უსაფრთხოების უზრუნველყოფ ინსტიტუტებს შორის უფრო მჭიდრო კოორდინაციას, უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტების ურთიერთქმედების ხარისხის გაუმჯობესებას; გარდა ამისა, შესაძლებელს გახდის სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში ჩართული ინსტიტუტების შესაბამისი უწყებრივი სტრატეგიების შემუშავებას. ამ პროცესის ქვაკუთხედაა სამხედრო ძალებისა და მთლიანად უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების შემდგომი გაძლიერება.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით გადამწყვეტია NATO-ში გაწევრიანება, ხოლო გაწევრიანებამდე მჭიდრო თანამშრომლობა NATO-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან. საქართველო ითამაშებს მნიშვნელოვან როლს შავი ზღვის აუზსა და აღმოსავლეთ ევროპაში ისეთი რეგიონალური ინიციატივების მხარდაჭერად, რომლებიც ხელს უწყობს მთელ რეგიონში დემოკრატიულ პროცესების განვითარებას.

ამავე დროს, ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები და მოსახლეობის დამოკიდებულება სამართალდამცავი სისტემის მიმართ. სისტემისადმი გაჩნდა ერთგვარი უნდობლობა. მოქალაქეს სახელმწიფოსთან დავისას არ აქვს დაცულობის განცდა, პრობლემატურ საკითხებად რჩება უკანონო მოსმენა-მიყურადება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, გამოძიების მიუკერძოებლობა, პოლიციისა და პროკურატურის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება.

## 2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

თავდაცვის სფეროში ჩვენი პრიორიტეტებია:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი გაძლიერება და ნატოს შეიარაღებულ ძალებთან მათი ურთიერთქმედების გაუმჯობესება. ამ მიზნით მონაწილეობას უნდა ვიღებდეთ ნატოს ეგიდით და/ან ნატოს წევრ-სახელმწიფოებთან ერთად საქართველოსთვის ხელმისაწვდომ ყველა წვრთნასა და მისიაში, ასევე გაეროსა და ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში;
- შეიარაღებული ძალების ეტაპობრივად, სრულად გადაყვანა პროფესიულ საკონტრაქტო სისტემაზე და, შესაბამისად, უარის თქმა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე;
- ნატოს სტანდარტებზე მორგებული ტერიტორიული რეზერვის კონცეფციის შემუშავება და განხორციელება, რომელიც იქცევა როგორც პროფესიონალური არმიის შევსების, ისე სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ეფექტურ სკოლად;
- სამხედრო პირთა სოციალური დაცვა - უნდა გაიზარდოს მათი შრომის ანაზღაურება; გაფართოვდეს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი; დაღუპულ სამხედრო პირთა შვილები სასწავლო გრანტით უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ;
- შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია-აღჭურვა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის საჰაერო თავდაცვისუნარიანობასა და კიბერუსაფრთხოებას;
- აშშ-ის სამხედრო ინფრასტრუქტურის ქვეყანაში განთავსება;

- სამხედრო მრეწველობის გაძლიერება, რომელიც, ერთი მხრივ, განამტკიცებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს ასობით მილიონი დოლარის ოდენობით;
- საქართველოს პარლამენტის როლის გაძლიერება შეიარაღებული ძალების სამოქალაქო ზედამხედველობის სფეროში, ნატოს სტანდარტების შესაბამისად.

### 3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქართული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა.

დეოკუპაციის წარმატებით განსახორციელებლად, „ევროპული საქართველო“ საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტ აქტიურობას რუსეთის ფედერაციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რათა მან იკისროს საქართველოს მიმართ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები, მათ შორის, სუვერენული ქვეყნის თანხმობის გარეშე მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგების დაუშვებლობის პრინციპი, და შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატს.

დიდი გამოწვევაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, განსაკუთრებით კი გალის და ახალგორის რაიონების, მოსახლეობის უფლებების მუდმივი შელახვა, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ჩამორთმევა. ჩვენი მოსახლეობის უფლებების დასაცავად გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როგორცაა, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭო და საერთაშორისო სასამართლოები.

### 4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

ჩვენი ამოცანაა, არ გაგრძელდეს „მცოცავი ოკუპაცია“, არ გადმოიწიოს მავთულხლართები და არ მოხდეს ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფა, უსაფრთხოებისა და ღირსების შელახვა. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს უსაფრთხოების ზომები ოკუპაციის ხაზის გასწვრივ ჩვენ მიერ კონტროლირებად მხარეს საგუშაგოების განთავსებით და მთელ პერიმეტრზე პატრულირების აღდგენით. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ გააფართოოს „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სია იმ პირთა ჩართვით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჩვენს თანამოქალაქეთა უფლებების დარღვევასა და მკვლელობებზე. საქართველოს ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს ამ სიის ფიგურანტთა მოხვედრა ჩვენი პარტნიორების საერთაშორისო სანქციების სიაში.

მნიშვნელოვანია პრაგმატული თანამშრომლობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან და გამყოფი ხაზების თანდათანობით გაქრობა სავაჭრო, სამედიცინო, ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და ადამიანებს შორის ნორმალური ურთიერთობების აღდგენის გზით. ეს ხელს შეუწყობს ოკუპაციით დაზარებული საქართველოს მოქალაქეების

ურთიერთობათა გაღრმავებას და ამ მოსახლეობის ეტაპობრივ ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია თავისუფალი გადაადგილების უფლების უზრუნველყოფა.

ევროპული საქართველო შეიმუშავებს ისეთ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა მიერ ლეგიტიმური წარმომადგენლობითი სტრუქტურის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს) და მეთაურის (ცხინვალის რეგიონის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) პერიოდულ და პირდაპირი გზით არჩევნებს. მიღებულ იქნება კანონი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პერიოდული და პირდაპირი გზით არჩევნების შესახებ. დევნილებს უნდა დაუბრუნდეთ საარჩევნო უფლება საკუთარ წარმომადგენლობით ორგანოში.

დეოკუპაციის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში უკვე დამკვიდრებული ტერმინის - „ოკუპაცია“ - შენარჩუნება; საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გააგრძელოს, ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა და, მეორე მხრივ, აღიაროს ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდისა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის ფაქტები.